

572
1968

1968 ՕՅԵՈՆՈ ՆՅ

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅԵՆՈՒԹՅԱՆ
ՄԻՋՈՒԹՅԱՆ

ԳՐԱԴԱՐԱՆ





ზახანა იანაანი ლ

ბოიანი კანკანილი

ბებია ინდურების საძებნელად წვილი და პატარა დარეჯანიც თან გაიყოლა. ინდურები სოფლის ბოლოში გასული-ცხენ და ნახნავს შესვლინენ.

— უყურე ამ პირმავებს, სად გამოსულან? — თქვა ბებიამ და წყნებით ხელში ინდურებისა ცენ გაეშურა.

დარეჯანს მგრად ჩაებლუჯა ბებიის კაბა და ნახნავეში ბანკალით მიჰყევიდა. ხანდახან კალთის ხელს გაუშვებდა ხოლმე. მუქიდან ერთ ცალ მზესუმზირას ამოიღებდა და პირში იკრავდა.

უცებ დარეჯანი გაჩერდა. ჩაუსუქდა და ნახნავეს ქეჭვა დაიწყო.



ახანაიდა სიმლა

კ. ბოიანილი

კოტეხია, ბუნებია, მსიარულითა ერთად წყლდა, თავს დავესხრის მგებობისა მქნაიელი ცისარტყელა.

ფრანგმა, რუსმა, ბელიორესმა, ქართულმა თუ ასტრალისა — მთავარნი მთა და ბარი; აბა, ღელი, ღელი, ღელი!

ნახატი თხაიხ სასურნაია

ლილი მხანაიხი

88901

— რას ეძებ, შვილო. რატომ არ მოლიხარ? — მკითხა ბებიამ.

— მზესუმზირა დამივარდა. — სრემლი მოგრიო პატარა დარეჯანს.

— აბა, ამ ნახნავეში მზესუმზირის მარკვალს როგორ იპოვი? — გაეცინა ბებიას.

ნახატი ზახანა მამაიანილი

— არა, უნდა ეპოვიო! — დიგინა დარეჯანმა. — სანამ არ ეპოვი, არ წამოვალ. იცი, რა დიდი მზესუმზირა იყო!

— აბა, თუ ასე, ეს აღვლი დავიხსოვოთ. ორი ცვირის მებდგე მოვიდეთ და ენახოთ, რას იზამს ეს შენი მზესუმზირა.

— რა იზამს, ბებია?—სულ გადაავიწყ-
და დარეჯანს ტირილი.

— ამოვა და გაიზრდება.

— კარგი, იყოს და დავისხომოთ.

ბებია იმ ადგილას წყება ზაარუო და
ორივენი ინდაურებისაკენ წავიდნენ.

— ბებია, არ გავიდა ორი კვირა?—
ყოველდღე გეითხებოდა დარეჯანი.

— არა, შვილო. ერთ კვირაში შვიდ-
ჯერ უნდა დაღამდეს და გათენდეს, ჯერ
კი სამჯერაც არ დაღამებულა.

ორი კვირაც გავიდა. ბებია და დარე-



ჯანი მონიშნულ ადგილზე მივიდნენ;
ხნულში პატარა, ორყურა ბალახი ამო-
სულიყო.

— აბა, სადაა მზესუმზირა, ბებია?—
გაოცდა დარეჯანი.

— მზესუმზირა აი, ეს ორყურა ბალა-
ხია, შვილო, ასეთი ამოდის მიწიდან.

— მოეწყვიტოთ და სახლში წავიღოთ!

— რომ მოეწყვიტოთ, გაგვიქენება და
მოკვდება.

— რომ არ მოეწყვიტოთ?

— მაშინ გაიზრდება და ერთ თვეში
შენი სიმაღლისა გახდება.

— თვეში რამდენი დღეა, ბებია?

— თვეში ოცდაათი დღეა, შვილო,
ოთხი კვირა.

— უუ, რამხელა ყოფილა ერთი თვე...

კარგი, იყოს და ერთი თვის მერე მოვიდეთ.

გავიდა ერთი თვეც. ბებია და დარეჯანი ისევ წავიდნენ მზესუმზირის სანახავდ და რა ნახეს: ორყურა ბალახის ნაცვლად, დარეჯანის სიმაღლე ფართოფოთლიანი მცენარე ირხეოდა.

— აბა, სადაა მზესუმზირა, ბებია?— ისევ გაოცდა დარეჯანი.

— მზესუმზირა ეს არის, შვილო,— ასეთი იზრდება.

— მოვწყვიტოთ და სახლში წავიღოთ!

— რომ მოვწყვიტოთ, გავგიჟქნება და მოკვდება.

— ეს არის, შვილო, ასეთი ყვავილობა იცის.

— ვის უყურებს?

— მზეს უყურებს. სულ მზისკენ იმზირება. მზესუმზირასაც ამიტომ ვძახიან.

— რა კარგია, ბებია. ახლა კი ნამდვილად მოვწყვიტოთ და სახლში წავიღოთ.

— რომ მოვწყვიტოთ, გავგიჟქნება და მოკვდება.

— რომ არ მოვწყვიტოთ?

— მაშინ, ერთი თვის მერე მოვალთ და... გავგახარებს.

— იყოს და ვნახოთ ერთი თვის მერე. გავიდა ერთი თვეც. ბებია და დარე-



— რომ არ მოვწყვიტოთ?

— მაშინ კიდევ უფრო დიდი გაიზრდება და ერთი თვის თავზე აყვავდება კიდევც.

— უუ, რამხელაა ერთი თვე. კარგი, იყოს და ერთი თვის მერე ვნახოთ.

გავიდა ერთი თვეც. ბებია და დარეჯანი ისევ წავიდნენ მზესუმზირის სანახავდ და რა ნახეს: დარეჯანისხელო მცენარის ნაცვლად, კაცზე მაღალი და ხესავით მაგარი მცენარე იდგა. კენწეროზე მზესავით კაშკაშა და ბრტყელი თავი უტოკავდა, ზედ კი ისეთი ლამაზი ყვავილები ესხა, რომ დარეჯანმა ალტაცებით შესძახა:

— ეს არის მზესუმზირა, ბებია?

ჯანი ისევ წავიდნენ მზესუმზირის სანახავდ და რა ნახეს: ლამაზყვავილიანი მცენარის ნაცვლად, გამხმარი და ფხაკნიფოთოლებიანი ხე იდგა. თავი ძირს ჩაეღუნა, მზეს აღარ უტკეპროდა.

— ბებია, რა იქნა ჩვენი ლამაზი მზესუმზირა?— დალონდა დარეჯანი.

— მზესუმზირა ეს არის, შვილო, ასეთი შემოსვლა იცის. აბა, გასინჯე!— ბებია მზესუმზირის თავს ერთი მარცვალი გამოაფხვნა და დარეჯანს გაუწოდა.

— ჩემი მზესუმზირა, ბებია! ეს ხომ მე დამეკარგა?!

— ჰო, შვილო, შენი მზესუმზირაა. ხომ ხედავ: რასაც დასთეს, იმას მოიძე. ერთი დათესე და ათასი გააოპინია.

ვინ დას უიღუჯს

ნანა კარასლიძე

კუდბუთქუნა ციფუნის
კველაგურძი სუოები აქუს,
გაკუთილებს იძუარებს
ყოველ დილაუთუნია.

— ვინ მიიღებს ოთხიანს?
— ვინ და, ზიტი ზიარა,—
ღექსები რომ ისწავლა,
აღარ გაიძეოდა.


— ვინ მიიღებს სამიანს?
— ფისუნია.
— რატომ?
— გაკუთილს რომ სწავლობს,
თავკუნის ნატრობს.

წიგნს არ გაშლის ბროლია,
თამაშს გადაჭეოდა,
გაკუთილი ვინ ახსოვს,
უითომ არცა ჰქონია...
— რას მიიღებს ბროლია?
— ორბანს!

ნახატები ზურაბ შორაშიძისა



სიხსნი ქუდი



ნიკოლოზ ნოსოვი

ფისო ვასკა სკივრის გვერდით ჩაცუცქუ-
ლიყო და ბუზებს უდარაჯებდა. სკივრზე ქუ-
დი იღო. აიხედა ფისომ და რას ხედავს:—
ერთი ბუზი ზედ ამ ქუდზე არ დასკუპდა! ფი-
სომ ისეთი ნაზტომი იცოდა, უკეთესს ვე-
რავენი დაიქადებდა. ჰოპ!.. და თათებით ჩა-
მოეკიდა ქუდს. ქუდი დასრიდა, ვასკამ
თავი ველარ შეიმაგრა და იატაკზე მოადი-
ნა ბრაგვანი. მოადინა და... სადღაა შენი
ფისო,—ზემოდან ქუდი დაემხო თავზე.

ვადლია და ვადიკი ამ დროს მაგიდას
უსხდნენ და სურათებს აფერადებდნენ. სულაც
არ დაუნაზავთ, როგორ მოჰყვა ვასკა ქუდ-
ქვეშ. ის კი გაიგონეს, რალაცამ ზღართანი
რომ მოადინა იატაკზე.

ნახატები რევაზ სუხაიჩიძისა

ამ ხმაურზე ვადლიამ მოიხედა და... თურ-
მე რა ყოფილა—ქუდი ჩამოვარდნილა!—
სკივრის გვერდით ეგდო იატაკზე. მივიდა და
ის იყო, უნდა აელო, რომ...

— ვაი, ვაი, ვაი!..—შეშინებულმა ხელი
უკან წაიღო.

— რა იყო?—თავი წამოაღირა ვადიკმა.

— ცო-ცო-ცოცხალია!

— რაა ცოცხალი?

— ქუ-ქუ-ქუდი!

— ეე, შენც ერთი! მე რალაც მეგონა. აბა,
სად გაგონილა ცოცხალი ქუდი.

— მო-მო-მოდი და ნახე, თუ არ გაგო-
ნია!

ვადიკი შორიხელა გაჩერდა და ისე უყუ-

რებდა ქულს. ქული კი, ჰაიდა! აი, თუ გინდა სუერი,—სწორედ მისკენ წამოვიდა. ვადიკმა ერთი კი შეჰყვირა, ვაიო და, ფაცხა-ფუცხით შეხტა ტახტზე. ვადიკისავე აბა, რა გააჩერებდა ძირს, ისიც ტახტზე შეხტა.

ქულმა იჩოჩა, იჩოჩა და ზედ შუა ოთახში გაჩერდა. ვადიკი და ვადიკი ტახტიდან უყურებდნენ, თვალები გადმოცვენილი ჰქონდათ. ქული უცებ მობრუნდა და ახლა ტახტისაკენ წაფლატუნდა.

— ვაიმი, ვაიმი, არიქა, არიქა! — აყვირდნენ ბიჭები, ტახტიდან ფეთიანებოვით ჩამოხტნენ, ბრიგინბრიგინით შეცვივდნენ სამზარეულოში და კარი მოხსურეს.

— უ-უ-უნდა წა-წა-წავიდე! — თქვა ვადიკი.

- სად?
- ჩემ ს-ს-სახლში?
- რატომ?
- მე-მე-მეშინია. პირველად ვხედავ, ქული რომ დაღის.

— იქნებ თოკით ათამაშებს ვინმე.

— აბა, წადი, ნახე!

— ერთად წავიდე. მოიცა, აქანდაბს წამოვიღებ, თუ ჩვენსკენ წამოვიდა, ჩავარტყამ და ის იქნება.

— მეც მომეცი აქანდაბი!

— მეორე რომ არა მაქვს?

— მაშინ თხილამურის ჯოხს წამოვიღებ. შეიარაღებულია ბიჭებმა ფრთხილად შეაღეს ოთახის კარი.

— სად არის, არ ჩანს? — მიიხედა-მოიხედა ვადიკმა.

— აგერ, მაგადსთან დაყუნტულა!

— აბა ერთი, ახლოს მოვიდეს, გაგჩეხავ! — აქანდაბი შეათამაშა ვადიკმა, მაგრამ ქული ადგილიდან არ იძრვდა.


— ხედავ? შეეშინდა! — გაეხარა ვადიკის, — თუ ბიჭია, რატომ ახლა არ მოგვდევს!?



— შეშინება ახლა უყურე! — თქვა ვადიკმა და იატაკზე ააკაკუნა აქანდაბი, — ჰვი, ჰვი, ქული!

ქული არ განძრეულა. — მოდი, სამზარეულოდან კარტოფილი გამოვიტანოთ და დავუშინოთ! — მოისაზრა ვადიკმა.

ბიჭები ისევ სამზარეულოში შეცვივდნენ, მალე კარტოფილით ჯიბეებდატენილი შემობრუნდნენ ოთახში. შემობრუნდნენ და აბა,



გიყვარდეს!—ერთი და ორი, ერთი და ორი,—
სეტყვასავით დაუშინეს კარტოფილი ქუდს.
ბოლოს ვადიკმა იმარჯვა: დაუმიზნა, დაუ-
მიზნა და... ბუხ!—ქუდი ზევით ახტა.

„მიაუ“.—დაიკნავდა ვილაცამ ქუდიდან.
ჯერ ნაცრისფერი კუდი გამოიპრიხა გარეთ,
მერე თათი გამოჩნდა, და, ბიჭოს! ერთი
ამას დამიხედეთ—ქუდიდან ვასკა არ გამო-
დგრა!

— ვასკა, ვასკა,— გაეხარდათ ბიჭებს.

ვადიკმა ფისო ხედი აიყვანა.

— ვასკა, საყვარელო, როგორ მოხვედი
ქუდქვეშ?

ვასკას აბა, რა ეთქმოდა, მხოლოდ კრუ-
ტუნებდა და სინათლეზე თვალებს ნაბავდა.
თარგმნა ივანე ხაბაილიძე



ზაქარას ეპიკოსავაი


ჯაჯი-ზარბ კანთი
რბი პოეტო

სიძინარულე გამქრალა,
სახლში არ იმისი ჩქამიქ.
წინსაფრიანი თოჯინა
ნაღვლობს დღისით და ღამით.

— რა დაგემართა, დობილო,
ასე რამ გაგამწარა?—
მან შემომხედა მოწყენით
და ასე მითხრა წყნარად:
— ეჰ, რა დღე მაღვას, არ იცი,
ჩემი პაწო მყავს ავად!



1. ზაქარამ დაქრა და დაქრა უხბო
ტობს, წაივიდა და წაივიდა პრიალით
კაკალი და ზედ თავზე დაეყარა ზარბ-
ცებს.



2. აჩარას და ბარჩასაც შეტი რა უნ-
დალიო, კბილით ამტვირფენდა და ხანს-
ველწენ.



3. ზაქარა ხედავ
ქუბის გროვლა და ხე-
ლისგან ტიკებოიო.



4. ზარბაცებს ზაქარას თვალბი დაუ-
ჩაილეს: ტანსაცმელი გვიხედ და ჩვენ
მოგვადიო მუცელიო.



5. ზარბაცებსა ზაქარას თვალბი დაუ-
ჩაილეს: ტანსაცმელი გვიხედ და ჩვენ
მოგვადიო, გვცოვაო.



6. ზაქარას შეშინდა ავად და აჩარას
ზარვალი მოუფლო, ბარჩას—ხალაო.



8. ზაქარა მთლად შოშველი დარჩა და
კაკლის ფოილები აფურცა ველურვაიო.



7. აჩარამ და ბარჩამ იფიქრეს, ეს რა
მხადლი ვინმე ეყოფაო და უფრო გაო-
მამუნენ ახს, ახლა შუშ მოგვარევი და გვერ
ცდებლი დაგვიწიო, ერთი გვარჩანად გავ-
თხეოო.



8. ზაქარა
ცამედ ზღ



9. ზაქარა
სტიკოცინი დანაო, ალი



9. ზარბაცებს გვარლები ეცოდაო, მაგ-
ჩამ ვადაბრუნებს ეზარბოდიო. იხედ ზაქარას
უბრძანეს: მოგკოდე ზელი და ცოცა
გვერღე ვადავაჯიოო.

მ. ზ. ი. ნ. ე. ზ. ი

მელა კუთხეში მიმჯდარა,
კულსაც არ იჩენეს, არა.
— რა დაგემართა, გრძელკუდავ,
ასე რამ გაგამწარა?
— ეჰ, რა დღე მაღვას, არ იცი,
მელიკო გახდა ავად!
დათუნა ტახტზე დამჯდარა.
ცრემლი ჩამოსდის ღვარად.

— რა დაგემართა, ბაჯბაჯა,
ასე რამ გაგამწარა?
— ეჰ, რა დღე მაღვას, არ იცი,
ბელი გამიხდა ავად!
— მერე და, პოლიკლინიკა
დაკეტლია თქვენთვის?!
ხუ გეშინიათ, ახლავე
გამოეუქსახებ ექიმს!

თარგნა 2689 მხელა



ტექსტი და ხატებია
პ. კვეციანი



სოქალს კვბოქუსი

მუარამ ხარაიძე

ნახატი ზურაბ შორჩხიძისა

— ისევ იძინებ? — შეხსახა ჭრელმა ჩიტმა.

— ძილისგულდა, ძილისგულდა! — აყვირდა მაიმუნი, შეხტა-შემოხტა და აქლემს უურში ჩახსახა:

— გაიდვიძე, გა-ი-ღვი-ძე! — თან გაიქყანა და სპილოს ხორთუმს გაეთამაშა, — აბა, ჩაპყვირე ერთი შენებურად, ბუკივით!

სპილომ არც აცია, არც აცხელა, თამაში ეგრე არ უნდაო და ხორთუმი ისე მოუჭირა, მაიმუნმა სული ველარ მოითქვა, ერთი კი მოასწრო, მიშველეთო და თვალები გაღმოკარკლა.

— რა ღონიერი ყოფილა! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— თუ არ გავაშველეთ, შემოაკვდება! — კიდევ უფრო დაიგრძელა კისერი ჟირაფმა.

— კარგი, გეყოფა, შეიბრალე ეგ უბედურ დღეზე გაჩენილი! — ხთხოვა სპილოს ჭრელმა ჩიტმა.

სპილომ ხორთუმი აიქნია და შეშინებულნი მაიმუნი კინალამ კაბინაში შეუფეღო სიზმარას.

მაიმუნი კუთხეში მოიბუზა და ნეკნებს ისინჯავდა, ხომ არ ჩამემტვრაო.

ჭრელ ჩიტს მშვიდობის ჩამოგდება სურდა და სპილოს უთხრა:

— შენი ღონის ამბავი ყველას მოგვეხსენება და აგერ ჩვენი თვალითაც ვნახეთ.

— ვნახეთ, ვნახეთ! — ისევ გაისმა აქეთ-იქიდან.

სპილომ ყურები ააპანტურა, მოკლე კული გაიქნია და ამაყად ჩაიხივივინა:

— ეს რა არის, ჩემს სამშობლოში, აზიისა და აფრიკის ჯუნგლებში, ვეებერთელა მორებს ვევილები, აღამიანებს ვეხმარები. თამაშშიც მაგაზე ნაკლები როდი ვიცი, — მაიმუნს გადახელდა, — აბა ერთი, ცირკში მნახეთ, როგორ ცეცქავ.

— ცეცქავ? — გაიკრივა მაიმუნი.

— ცეცქავ. აი, მიყურე! — თქვა სპილომ და ხან ერთი ფეხი ასწია, ხან — მეორე. მერე დაჯდა და წინა ფეხები ჰაერში გაიშვირა.

ამის დანახვაზე მაიმუნმა ერთი ისეთი გადაიკისკისა, მთელი ავტობუსი აფორიაქა.

— ეს რა ყოფილა, წელან ტიროდა, ახლა კი იციანს! — კული გაიქნია ჟირაფმა.

— მაშ, სულ ვიტყრო? — მანქვა-გრეხით წამოდგა მაიმუნი და სპილოს წინ დაცუტქდა, — მერე, მერე, განაგრძე.

— რამხელა და როგორ ცეცქავს! — თქვა კენჭურულ და თათები ჩანთაში ჩაიწყო.

— მე რა ვარ, თქვენ ჩემი წინაპრები უნდა გენახათ, ოთხი ჩემოდენები იყვენენ, მამონტებს ეძახდნენ. მე კი კულიან-ხორთუმიანა შვილიოდე მეტრი ძლივსა ვარ, რომ დავიბადე, რალც ოთხმოცი-ოთხმოცდაათი კილოგრამი თუ ვიყავი. ახლა, ორმოცი წლისა ვარ და მხოლოდ ოთხ ტონას ვიწონი.

— ოთხ ტონას? აუ!—შეიცხადა კრელმა ჩიტმა.—მაგას რა გააძღებს!—მერე სპილოს მიუბრუნდა,—რას ჭამ, თუ ძმა ხარ?

— ბალახს, ფოთლებს... აი, ამ ორმეტრიანი ხორთუმით ტოტებს დავიწვევ ხოლმე. ხილსაც გულიანად ვიპყლებით. ორასი წელი ისე გავა, სხვას არაფერი ჩავიდებ პირში.

— როგორ? ორასი წელი ცოცხლობ?!—თავი წამოჰყო აქლემმა.

— კი ვცოცხლობ, მაგრამ ვინ მიცლის! აღმიანები არ მასვენებენ: ჩემზე ნადირობენ, ჩემი ეშვებისა და ძვლებისაგან რას არ აკეთებენ.

— ოჰ, მავათი სინსილა!—ჩაიბურტყუნა აქლემმა და მიიმუნს მიაფურთხა,—ყველაფერი შენი ბრალია.

— საწყალმა მამაჩემმა,—განაგრძო სპი-

ლომ,—სიკვდილი რომ იგრძნო, თავისი ფეხით წავიდა შორს, შორს, სასაფლაოზე, სადაც ჩვენი მამა-პაპის უამრავი ძვლები და ეშვები ურია. აღმიანები ამ სასაფლაოს ახლაც დაცემენ. ეს ჩვენი საიდუმლოა. ეჰ, საწყალი მამაჩემი!..

ამ სიტყვებზე სპილოს თვალებე ცრემლი მოადგა.

— ორასი წელი ცოცხლობ და კიდევ ტირი?! ჰაი დედას! მაგდენ ხანს რომ მიცოცხლა, სულ ასე ცეკვა-ცეკვიბო წავალ სასაფლაოზე!—წამოიძახა კენგურუმ და ავტობუსში დავლური ჩამოუარა.

— ტაში, ტაში!—დაიჭყვილა მიიმუნმა და ისეთი ცეკვა-თამაში გაჩაღდა, სპილოც კი აძლავუნდა.

(გაგრძელება იქნება)





შაკი

დაჭკრი აღმა-დაღმა,
ღრუბელი გაქვს ქუდად,
დაჭკრი მთა და ბარად
გეჩქარება მუდამ.

არ გელღება მუხღი,
რა ძაღა გაქვს ფრთაში,
მეც თან წამოყვანე,
გამაქროღე მთაში.

ჩემი სოფელი

რა ღამაზად შეფენიღა
მთაზე ჩემი სოფელი,
იქ გზას უფრთხის მანქანაც და
გამოცდიღი მოფერიც.

მის დაკღაკნიღ ბიღიკებზე
ეკაღ-ბარდიც ხშირიღა,
პირღაღებუღ ხრამს დაჭყურებს,
მაინც არ ემინიღა.

თარღმნა ლიღლა პარღმე



მივი ჭიჭინაღი



ჩემზე აბა ვინ იტყვის —
უსუფთაღ არისღ!
ქაფი-ქუფი, საპონღ,
ჯაგრი-ჯუგრი, ჯაგრისღ!



მაკრატელღ, ჰერიღ,
ჭრიჭი-ჭრიჭით სჭერიღ,
ჩემს თოჯინას კაბა უნღა
ღამაზი და ჰრეღიღ!





თავბატოცი არ მინდა!
რძე მომართვეს ჯამითა,
პურიც ჩაებაუყებუე,
ველარ ვძღღები ჭამითა.

ნახატები ლაგარა ლანელიანი

თქო ჯაჯს ჯალი

ნოღარ ქაქლიძე

ლალი აგარაკეჯა, საბავშვო ბაღს ჩამოჰყევა.
რა კარგია აქაურობა. რას არ თამაშობენ,
რა ლექსებს არ ამბობენ...

ყველაზე მეტად თედო პაპას ბალი მოსწონთ.
რა ყვავილი არ ხარობს ამ ბაღში!

რამდენს არ ეხვეწებიან ბავშვები, შვევი-
შვიო, მაგრამ მებაღე არ ენდობა კულდრა-
ქებს: ვაითუ, სულმა წასძლიოთ და ყვავი-
ლები დაკრიფონო. ერთთავად სულ ბაღის
კართან დგას. ერთი საათით თუ მიეფარება
თვალს ნაშუადღევს, ბავშვები რომ იძინებენ
ხოღმე.

ბოჩოლა

ეს ბოჩოლა ჩემია,
მე მაჩუქა ბაბუამ,
შეხეთ, რა ლამაზია,
თვალგიშერა, ლაბუა.

ვერ მოუვლის ბიჭიო,
ნეტავი ვინ მოჭორა,—
აპა, მწვანე ბალახი,
ჭამე, ჭამე, ბოჩოლა.



ერთ დღეს, ბავშვებმა რომ დაიძინეს, ლალიმ დრო იხელთა, კიბეები მალულად ჩაირბინა და ეზოში ჩავიდა. ფრთხილად შეალო ბაღის ჭიშკარი და შევიდა:

— გამარჯობათ, ყვავილებო!—ჩაილაპარაკა და ლაქლაქა, გადაბარდნილ ვარდთან ჩაცუცქდა,—რა გქვია? რა ლამაზი ფურცლები გაქვს...

ლალიმ ახლა მეორე ყვავილთან გადაინაცვლა:

— რა კარგი ხარ!—ხელი გადაუსვა. მერე—წაპა! და ყვავილი ხელში შერჩა. მერე მეორე მოსწყვიტა, მესამე...

კარი გაჩნაკუნდა.

— ვაიმე!—შეშინდა ლალი. ყვავილები იქვე მიჰყარა და აივნისაკენ მოჰკურცხლა.

კარგა ხნის შემდეგ თედო პაპა ბუზღუნით ამოვიდა ბავშვებთან, ხელში დამჭკანარი ყვავილები ეჭირა:

— აბა, შვილებო, ეს საქმეა?—ყვავილები მალლა ასწია და ბავშვებს გადახედა,—განა ვერ ხედავთ, როგორ ტირიან?..

ბავშვები ჩუმად შეჰკურებდნენ მებღაღეს. ლალი ყველაზე უკან იდგა და თვალმებს დაბნეულად აცეცებდა.

— ვინ ჩაიღინა ეს?—გადახედა აღმზრ-



დელმა ბავშვებს.

ყველა სდუმდა.

— სულ ერთია,—თქვა თედო პაპამ,—ყვავილები მაინც მეტყვიან!

სალამოს ლალის დედა ჩამოუვიდა ქალაქიდან. ლალის ძალიან გაეხარა, ყელზე მოეხვია და მაშინვე ჰკითხა:

— დედიკო, ყვავილები მართლა ტირიან?

— თუ მოსწყვეტ, იტირებენ, აბა რა!

ლიას ზეკილი

გამარჯობა, ჩემო ბებო,
როგორა ხარ, ნეტავ?
მოიწერე წერილი და
წამიკითხავს ღელა.

ჯერ არც წერა და არც კითხვა
მე არ შემიძლია,
ჩემს მაგივრად დედიკო გწერს...—
გკოცნი—
შენი ლია.



28971

ლალის აღარაფერი უთქვამს. იმ საღამოს
უგუნებოდ იყო. ნავახშმევს, როცა დაწვა,
კარგა ხანს არ დაუძინია.

რომ ჩაეძინა, ყვავილები მოვიდნენ, ლა-
ლის საწოლთან შეგროვდნენ და ატირ-
დნენ... ლალიც ატირდა.

— ნუ ტირი, ლალი!—ამშვიდებდნენ
ყვავილები. ლალიმ ცრემლები მოიწმინდა
და სლუკუნით თქვა:

— წადით, თედო ბაბას უთხარით, რომ
აწი აღარაფერს დაგიშავებთ, გეგვეწებით,
უთხარით...

ლალის კიდეც უნდოდა რაღაც ეთქვა,
მაგრამ უეცრად გაეღვიძა, ყვავილები კი
უპვე წასულიყვნენ...





76055



ქალაქი—ნახატი შიაა კუთათელაძისა, 7 წლის. თბილისი.

ვაშლები—ნახატი ნინო ჯანგულაშვილისა, 10 წლის. თბილისი.

მოდკვავე ფოფონა—ნახატი თინა ჯიფიშვილისა, 7 წლის. თბილისი.

ესტრადის მხახობი—ნაძერწი თეიმურაზ მჭედლიძისა, 8 წლის. თბილისი.

მანქანა—ნახატი ელგუჯა მარსაგვილისა, 7 წლის. თბილისი.

კარ-შიდამო—ნახატი ვია როინიშვილისა, 7 წლის. დუშეთი.

წიფლი ხაკენ—ნახატი ზურაბო ბეგალიშვილისა, 6 წლის. თბილისი.

ხოკობი—აპლიკაცია მანანა პეტრიაშვილისა, 6 წლის. თბილისი.

ყაყაჩო—აპლიკაცია ლევან ჩხეიძისა, 7 წლია. თბილისი.

